ნუგზარ ერგემლიძე

el klasiko

„რეალი“ - „ბარსა“

პიესა 2 მოქმედებად

მონაწილეობენ:

„რეალი“-ს და „ბარსა“-ს ფეხბურთელები

ნიკა – 11 წლის. სკოლის მოსწავლე.

მამა – ხელოვანი, სამინისტროს ჩინოსანი.

დედა – დიასახლისი.

გიორგი – ნიკას ძმა, მუსიკოსი, 22 წლის.

აპოლონი – კომპიუტერის ოსტატი.

(სცენა გაყოფილია ორ ნაწილად (პირობითად). მარცხნივ ფეხბურთელებს სძინავთ. მარჯვნივ – ოთახის ერთი კუთხეა, სადაც სამეული და ტელევიზორი დგას. (შემოდის ნიკა).

ნიკა

ვაშაა! ხვალ შაბათია! ჩემპიონატი გავაგრძელოთ, „ბარსა“-ს და „რეალი“-ს ფინალი დამრჩა!

დედა

ჯერ არ შემოსულხარ და უკვე კომპიუტერს ეძგერე, არა?

(ფეხბურთელებს გამოცოცხლება დაეწყოთ)

ვალდესი („ბარსა“-ს მეკარე)

მგონი იწყება საფინალო მატჩი, მოემზადეთ!

კასილასი („რეალი“-ს) მეკარე

ჯერ დედა დაუშლის, მერე მამა შემოვა...

ალდესი

მამა ორი დღეა წასულია ქალაქგარეთ და ალბათ მარტო ითამაშებს.

დედა

სკოლაში რა ჰქენი?

ნიკა

მათემატიკამ დამჩაგრა. წინ მსხდომმა გოგონებმა წყალი დამისხეს რვეულზე და ვერ დავწერე! მასწავლებელმა არ დამიჯერა და ორიანი დამიწერა!

დედა

შევამოწმებ მე მაგას... (სამზარეულოსკენ მიდის).

მოდი, ჯერ ჭამე, მერე ინგლისური იმეცადინე.

ნიკა

ოოოჰ! ხვალ შაბათია! მერე ვიმეცადინებ.

(შემოდის გიორგი)

ვაა, „ჯოისტიკ“! მოხვედი?

ნიკა

ჰო, გინდა ვითამაშოთ? „ბარსა“-ს და „რეალი“-ს ფინალია!

გიორგი

ფეხბურთი არ მევასება. 22 კაცი ერთ ბურთს დასდევს, თუ გინდა რალი ვითამაშოთ!

ნიკა

რა დროს რალია, მთელი ჩემპიონატი ჩავატარე და ფინალი დამრჩა.

გიორგი

შენ რომელი გუნდი ხარ?

ნიკა

„რეალი“.

გიორგი

აბა შენ იცი! საერთოდ მაგ ფეხბურთელობას, ინგლისური ისწავლო, ის სჯობია!

ნიკა

შენ არ გესმის! (რთავს კომპიუტერს).

დედა

მოდი ნიკა, საჭმელი მზადაა!

ნიკა

ჰო, მაცალე ცოტას ვითამაშებ და ...

მესი („ბარსა“-ს თავდამსხმელი)

ახლა დაიწყებს, – მერე დედა მაინც შეგვაჩერებს! რა ვქნათ, წავივარჯიშოთ?

კასილასი („რეალი“-ს მეკარე)

ისევ ჩვენ რომ ვხვდებით ფინალში?! კარგია არა?

პუიოლი („ბარსა“-ს დამცველი)

აქ ხომ მაინც ვერ დაგვჩაგრავთ! კომპიუტერული მსაჯობაა!

კაკა

მსაჯი ჩვენ არ გვაინტერესებს, ისეც მოგიგებთ!

დედა

ნიკა, არ გესმის? საჭმელი ცივდება!

ნიკა

კარგი! (გაბრაზებით მიაგდებს ჯოისტიკს).

ინიესტა („ბარსა“)

ეს ხალხი რაღაცით ჩვენ გვგავს! რა ქვია ამ ქვეყანას?

ანრი („ბარსა“-ს ფრანგი თავდამსხმელი)

ესენი ქრთველები არიან – ჩვენში ჟეორჟიანელებს ეძახიან, სხვათაშორის მაგარი ფეხბურთელები ჰყავდათ, წინათ.... ბავშვობიდან მახსოვს.

კასილასი („რეალი“)

რამდენი წლის ხარ?

ანრი („ბარსა“)

33-ის. ბავშვობაში ვნახე თბილისის “დინამო“-ს თამაში. ფინალში თასი აიღეს. მაგარი გუნდი იყო.

კაკა („რეალი“-ს ბრაზილიელი თავდამსხმელი)

მე პელესთან ერთად გადაღებული ხუთი ქართველი ფეხბურთელის სურათი მაქვს ნანახი, უფრო სწორედ ჩემს ორიგინალს აქვს ნანახი და მეც ასე დავპროგრამდი . . .

მესი („ბარსა“)

რა საოცარია, არა? მეც ყველაფერი მახსოვს. . . ბაბუაჩემი მიყვებოდა. არგენტინაში 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩამოსულა... ორი ქართველი თავდამსხმელი ჰყოლიათ მესხი და მეტრეველი, ფრთებშესხმულებივით თამაშობდნენო.

რონალდუ („რეალი“, პორტუგალიელი)

მსოფლიო ჩემპიონატზე თუ იყვნენ?

მესი („ბარსა“)

მეტრეველი, ხურცილავა, კავაზაშვილი, სიჭინავა იყვნენ... მაგრამ მესხი არ წაუყვანიათ, შურდათ ალბათ...

კაკა („რეალი“)

ყური მოვკარი, თურმე „რეალი“ ხუთ მილიონს იხდიდა მესხში, მაშინ ეს დღევანდელ 50-მილიონს უდრიდა.

ანრი („ბარსა“)

ფანტასტიკაა! 50 მილიონი? მერე-და, რატომ არ წავიდა?

კასილასი („რეალი“)

არ გაუშვებდნენ. საბჭოთა წყობა არავის უშვებდა საზღვარგარეთ.

ვალდესი („ბარსა“)

ესე იგი ფეხბურთელებს ჩაგრავდნენ? თქვენც ხომ სულ გვჩაგრავდით?

კაკა (ჩაერევა)

ახლა სხვა დროა! თამაშზე ვიფიქროთ. (გახედა „რეალი“-ს მოთამაშეებს). მწვრთნელი ავტომატზე დავაყენოთ, თუ ჩვენს მმართველებს მივანდოთ ეს საქმე.

ანრი

ავტომატზე დაყენებული მწვრთნელი აფრენს. ვერაფერს გვაგებინებს. ერთ გოლს გავიტანთ და შეგვცვლის სუყველას, ჯობია, მმართველებს მივანდოთ. რა ჰქვია?

კაკა

ნიკა ჰქვია, მე ვუყვარვარ და ნიკაკა დაირქვა.

ანრი

იმიტომაც თამაშობს „რეალი“-ს მხარეზე. არადა, „ბარსა“-ს ბევრჯერ მოაგებინა. მარტო თამაშობს?

კაკა (რეალი)

ვნახოთ. ჯერ ისადილოს. ფინალში მარტო გავიდა. ისე, მამაც თამაშობს ხოლმე.

მესი („ბარსა“)

მამამ თუ ითამაშა, აუცილებლად მოგიგებთ. მართვა არ იცის კარგად. შეცდომებს უშვებს!

კაკა (რეალი)

ჰო, ამ საქმეში პატარები უფრო მაგრები არიან!

(შემოდის გიორგი)

გიორგი

იცი, რას ვიზამ? აქ დაგიპროგრამებ ერთსაათიან თამაშს, ერთი საათი რომ გავა, თვითონ გამოირთვება!

ნიკა

ოო, მაცალე რა, უნდა ვითამაშო!

გიორგი

რაო, ნიკუშ, „ფლეთ აუთი“ მაინც ითამაშე, ბიჭო! დედა! გაკვეთილები მოამზადა?

დედა

არა! ჭამა მხოლოდ!

ნიკა

ვერ გაიგეთ, შაბათია!

გიორგი

შენთვის ყოველთვის შაბათია: „ორშაბათიც შაბათია, სამშაბათიც შაბათია, ოთხშაბათიც შაბათია, ხუთშაბათიც შაბათია, შაბათი ხომ შაბათია!“

(კარზე ზარი ირეკება), შემოდის მამა

მამა

– არ მელოდით?

(ნიკა წამოხტება და შეეგებება).

ნიკა

მამა ჩამოხვედი?

მამა

არა! გზაში ვარ! (გაიცინებს) კიდე თამაშობ? რომ წავედი – ჯოისტიკი გეჭირა, ჩამოვედი – ჯოისტიკი გიჭირავს!

ნიკა

გიორგიმ „ჯოისტიკა“ დამარქვა. მამა, მამა! ფინალში ვარ, „ბარსა“ და „რეალი“ ხვდებიან ერთმანეთს.

მამა

როდის დასერიოზულდები! ახლა შემოვედი სახლში და ეგრევე თამაში დავიწყო?

გიორგი

გამარჯობა მამა, როგორ იმგზავრე?

მამა

კარგად! ბევრი საინტერესო ხალხი ვნახე! ჰო, ერთმა კულტურის დირექტორმა მოგიკითხა, კონცერტი გქონიათ იქ, ახალგაზრდებს, შარშან.

გიორგი

ძალიან კარგი. მაშინ რეპერებთან ერთად ვიყავი, ახლა სხვა მუსიკას ვაწვები!

მამა

ასეც ვიცოდი, შენ არ გჯეროდა, თორემ...

გიორგი

გინდა მოგასმენინო?

დედა

გიორგი! მამას არ უსადილია, მერე მოასმენინე!

მამა

არა! ძლივს ვეღირსე რაღაც მოვისმინო, რომ მითხრა და თანაც „არა მხოლოდ პურითა ერთითათი“ ვართ ადამიანები! ასე არ არის? წამო, მომასმენინე.

(მამა და გიორგი გადის)

(ნიკა მატჩს რთავს.)

კასილასი („რეალი“-ს მეკარე)

ახლა კი ნამდვილად იწყება! მოემზადეთ ბიჭებო, მოედანზე გავდივართ.

ნიკა

კაკა, აბა შენ იცი! დედა, არ გაინტერესებს? მოდი, უყურე!

დედა

ჯერ კი არ გავგიჟებულვარ, საქმეებს მოვწყდე და ტელევიზორთან დავჯდე, – ვუცქირო, როგორ ათამაშებ მაგ საცოდავებს დღე და ღამ!

(ოთახში მუსიკის ხმები შემოდის)

აი, გიორგი უკვე კარგ მუსიკას წერს, შენ კი ...

ნიკა

გიორგი არ თამაშობდა კომპიუტერს? შენ არ მითხარი, „დენდი“ გვქონდაო?

დედა

რა სულელები ვიყავით... (ფიქრებში წავა). აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, მე, მამა და გიორგი ბათუმში ჩავრჩით, ...

ნიკა

რატომ?

დედა

ჩვენთანაც საომარი მდგომარეობა იყო. ორ ნაწილად იყვნენ ქართველები დაყოფილი: ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად. ყაჩაღებიც ბევრი იყო ტრასაზე და შეგვეშინდა თბილისში წამოსვლა... ჰოდა ჩავრთავდით ამ „დენდი“-ს, ვთამაშობდით, და ვთამაშობდით მე და მამაშენი „ტანკებს“. ვისროდით, გვესროდნენ, გიორგი გვეხვეწებოდა – მეც მათამაშეთო! (გაიცინა).

ნიკა

რა მაგარია! ომი რატომ დაიწყო?

ვალდესი („ბაისა“)

აუ, დაიწყო ახლა ისტორია! ძლივს გავივარჯიშეთ და ხასიათზე მოვედით! ისე, რატომ დაიწყო ომი? ჩვენც ავტონომია ვართ, აფხაზეთივით, მაგრამ ომი არ დაგვიწყია! ფეხბურთით ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ჩვენ, კატალონიელები, ესპანელებზე მაგრები ვართ!

ანრი

თქვენ და ბასკებს არავინ გეუბნებათ, აგერ ვართ ჩვენ – მოშორდით მაგ ესპანელებს და აგაყვავებთო, მაგათ კი – აფხაზებს, რუსები არ ასვენებდნენ, – ჩვენთან იყავით, ჩვენ უფრო დაგაფასებთო.

ვალდესი („ბარსა“)

მერე დაიჯერეს?

ანრი

დაიჯერეს და ომიც დაიწყეს! არადა, მშვენიერი გუნდი ჰყავდათ: სოხუმის „დინამო“, თბილისის „დინამო“-შიც ბევრი აფხაზი თამაშობდა...

ვალდესი

ესე იგი ფრანგებს უნდა ვუფრთხილდეთ, მათთან შეერთება რომ არ მოგვთხოვონ.

ანრი (იცინის)

ფრანგები სხვა ხალხი ვართ. მე აგერ კატალონიაში ვთამაშობ, საფრანგეთის ნაკრებში ბევრი ალჟირელია, ზიდანი რად ღირდა მარტო! ჩემზე რომ არაფერი ვთქვათ!

კაკა

წინათ ფრანგებიც კაი ხვითოები იყავით! კოლონიზატორები! ზანგებს აწვალებდით!

ანრი („ბაისა“)

ბრაზილიელი თეთრკანიანები ხომ ანებივრებდით ზანგებს!

კაკა („რეალი“)

კი მაგრამ, პელე? ჟაირზინიო? სანტოსი? ზანგები არ იყვნენ?

ანრი („ბარსა“)

ასე საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც თამაშობდნენ ქართველები.

კაკა („რეალი“)

ნუ შეადარებ! პელე გაცილებით ძლიერ უყვართ ბრაზილიელებს. პელეს ხათრით – ყველა ზანგი გვიყვარს! ჩუმად, მოედანზე გვეძახიან!

(ნიკამ მოედანზე გაიხმო მოთამაშენი)

შესრულდა ჰიმნი, შემოვიდა მამა).

მამა

არადა, მთელი თბილისი „ბარსა“-ს გულშემატკივრობს, თუნდაც ირაკლი ჩხეიძე, “შუა ქალაქიდან“, შენ რატომ აირჩიე „რეალი“?

ნიკა

ფეხბურთზე რომ დავდივარ, ბიჭები კაკას მეძახიან, კაკას გავხარო! კომპიუტერში „ნიკაკა“ მქვია!

მამა

კარგია, ვინმეს რომ ბაძავ, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს რომ თავიანთი წინა თაობისთვის მიებაძათ, ის სჯობდა.

დედა

რაო, რა თქვეს სამინისტროში, რა ხდება ჩვენს ფეხბურთში?

მამა

თამაშს-თამაშზე ვაგებთ. ვერ გაამართლა უცხოელი, თუნდაც გამოჩენილი მწვრთნელების მოწვევამ. არადა, ჩივაძე რომ იყო მწვრთნელი, მაგარი შედეგი ვაჩვენეთ. ეტყობა, ქართველს უფრო ესმის თავისიანების.

პუიოლი („ბარსა“)

ხედავ? რამდენს ლაპარაკობენ? და ჩვენ უნდა ვიდგეთ ასე გაშეშებული?

ნიკა

მერე დანიშნეთ ქეცბაია ან გუცაევი, ან ვინმე ისეთი, ჩვენი ენა რომ იცის!

მამა

მე მაგალითად ქეცბაიას და გუცაევს დავნიშნავდი ნაკრების მწვრთნელებად: მთელი მსოფლიო ნახავდა, რომ ჩვენ ქართველები, არავის ვჩაგრავთ, – ეს ყველაფერი ველიკორუსული ჭორებია!

ნიკა

რუსებზე გამახსენდა, კომპიუტერში ვირუსები შემოვიდნენ! ყველგან რუსებია! – ომში, კომპიუტერში და ყველგან გვაზარალებენ.

მამა (იცინის).

კარგი იდეა! რუსები – ვირუსები! მაგრამ შვილო, არცერთი ერი ცუდი არ არის. ეს სულ პოლიტიკის ბრალია, დღევანდელი დროის! გავა დრო და ყველაფერი დალაგდება.

დედა

შენ სულ ასე ლაპარაკობ! ღმერთმა გისმინოს. მოდი, ჭამე!

ნიკა

მამა, მე კომენტატორიც ვიქნები და მომისმინე, ვითომ რადიოს უსმენ.

მამა (იცინის)

ძალიან კარგი! (დედას ჩაულაპარაკებს) ჩემს ბავშვობას მაგონებს, ბურთით მეძინა!

დედა

არაფერში გვჭირდება მაგის ფეხბურთელობა!

მამა

იქნებ კარგი კომენტატორი გამოვიდეს ეროსივით, კოტესავით. რა, სხვაზე ნაკლებად უყვარდათ ხალხს?

(თამაში იწყება)

ნიკა

ყურადღება! ყურადღება! იწყება „ელ კლასიკო!“ ჩემპიონათთა ლიგის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან მადრიდის „რეალი“ და კატალონიის „ბარსელონა“. გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას. „რეალი“.

გიორგი

ნიკა, მაღაზიაში გაიქეცი, რა?

ნიკა (ყურადღებას არ აქცევს)

შემოვიდა გიორგი და მატჩის შეწყვეტა განიზრახა, მაგრამ ვერ მივართვით! მეკარე – ვიქტორი ვალდესი, დამცველები: პუიოლი, დანი, ალვეში.

გიორგი

ეს ბავშვი გააფრენს! (ცოტა ხანს ფეხზე დგას და ჩამოჯდება)

ნიკა

„სანტიაგო ბერნაბეო“-ს სტადიონს ახალი მაყურებელი შეემატა: ცნობილი ქართველი მუსიკოსი და მომღერალი – გიორგი!

გიორგი

ბილეთი რა ღირს?

ნიკა

მოსაწვევებითაა, შენთვის! რადგან დაგვაფასეთ! ამასობაში მატჩი დაიწყო! ბურთი მიიღო კაკამ, საჭიროა დარტყმა, დარტყმა – ბურთი ტრიბუნებს გადასცდა და ზესტაფონში იპოვეს. (შემოდის მამა)

მამა

რა ანგარიშია?

ნიკა

ნოლით-ნოლი. მოდი, ერთად ვითამაშოთ!

მამა (ჩამოჯდება)

ესე იგი, გავიხსენოთ ბავშვობა?

ნიკა

ეს შენი “ჯოისტიკია“. ორზე ვითამაშოთ.

მამა

მე რომელი ვარ, პირველი თუ მეორე?

ნიკა (გულზე ხელს დაირტყამს)

პირველი მე ვარ!

მამა

კარგი, დავიწყოთ!

გიორგი

შენს ბავშვობაში ასეთი რამ რომ არ იყო, ვიცი, მაგრამ მსგავსი თუ იყო რამე...

მამა

მექანიკური ფეხბურთი იყო. ყოველ ფეხბურთელს ზამბარა ჰქონდა, მოედანი ოღროჩოღრო იყო. რკინის ბურთი რომ შიგ მოხვედრილიყო, გამოკრავდი ხელს ზამბარას და ფეხბურთელი ურტყამდა! მეკარის მართვა შეიძლებოდა, დანარჩენები გაშეშებულები იდგნენ.

ნიკა

აუ, რა ჩამორჩენილობაა!

მამა

წინ მიდის ტექნიკა! ეს რა არის: მალე ისეთი დრო დადგება, ჰოლოგრამული მატჩები გაიმართება.

გიორგი

ეგ როგორ? როგორც იმ ფილმშია კომპიუტერულ ქალს რომ ამღერებენ, სიმონეს, ალ პაჩინო რომ თამაშობს?

მამა

ზუსტად ისე. 22-ივე ფეხურთელი თავის პროგრამას მიიღებს, და არც ფეხი მოტყდებათ და არც ხელი.

ნიკა

ჰოდა, ტოტალიზატორიც მაგათზე ითამაშონ. ეყოთ, ამდენი სისულელეები! აუ, გაგვიტანეს!

გიორგი

აი, სანამ ლაპარაკობდით, გაგიტანეს კიდეც!

მამა

კონტრშეტევაზე წამოგვიკიდეს! არა უშავს, კიდევ რამდენიმე წუთი გვაქვს!

კაკა („რეალი“)

გვიგებთ, ბიჭებო?

მესი

აბა, რა გეგონათ, ნიკა გიშველიდათ და კულტურისა და სპორტის სამინისტრო? „ბარსა“ მაგარია! გაიგეთ!

ნიკა

ტოტალიზატორმა ალბათ „ცრცვენა ზვეზდა“-სთანაც წაგვაგებინა.

მამა

აბა, ბიჭო! 20 ლარი დაგვიჯდა ორი ბილეთი. 2-ით ნოლი მოვიგეთ. გვიხაროდა 5:2-ს როგორ წავაგებთ-თქო და მაინცდამაინდ 5:2 არ წავაგეთ?

ნიკა

იცი მამა, იტალიაში იძიებენ ასეთ შემთხვევებს და დამნაშავეებს სჯიან.

გიორგი

იტალიამდე ჯერ შორია. მაგის თამაშს, დაჯექი და ინგლისური ისწავლე, კარგად – ეგება თავს უშველო!

ნიკა

ჯერ შენ წადი საზღვარგარეთ, თუ მაგარი ხარ, და მერე გადავწყვეტ, რას ვიზამ.

მამა

ორი წუთი დარჩა, წავაგეთ.

ნიკა

ეს თამაში უნდა მოვიგოთ, ერთი წუთი რომ დააკლდება, მატჩს გავჩერებ...

მამა

ეგ როგორ?

ნიკა

თავიდან დავიწყებ. აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

გიორგი

ეგ რა სპორტია?

ნიკა

დავასტოპე! თავიდან დაიწყება, ნოლით-ნოლით. ახლა აუცილებლად მოვიგებთ.

ვალდესი („ბარსა“)

რატომ გავჩერდით?

ანრი („ბარსა“)

ნიკამ გააჩერა. თავიდან გვათამაშებს – გინდა თუ არა, უნდა მოგიგოთო!

ვალდესი („ბარსა“)

კარგი, კიდევ მოვუგოთ!

ნიკა (აგრძელებს კომენტარს)

მადრიდის „რეალი“ სამეფო გუნდია, მას ცხრაჯერ აქვს ჩემპიონთა თასი მოგებული. ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია!

მამა

მე ახალ ამბებს უნდა ვუყურო, შენ გააგრძელე, მალე მოვალ.

ნიკა

ახალ ამბებში გაიგონებ, ნიკაკამ და „რეალმა“ გაიმარჯვა დაძაბულ ორთაბრძოლაშიო“. ბურთი მიიღო კანავარომ, მოატყუა ერთი კატალონიელი, მეორეს მოტყუებას აპირებდა, მაგრამ... შენ მოატყუებ კატალონიელებს? აქეთ შემოგვიტიეს! ბურთი მიიღო ინიესტამ, გადააწოდა მესის. როგორც წესი, უტევს მესი, შეიჭრა სააჯრიმოში, დაეწია „რეალი“-ს დამცველი და ფეხი დაუდო მესის! დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა! მესი თავად დაარტყამს პენალტს. გამოექანა.... დარტყმა... არის!... კიდევ გაგვიტანეს! აბა, ბიჭებო, მაინც უნდა მოვიგოთ!

გიორგი

კიდევ აგებ, არა? გინდა დაგენიძლავები, რომ კიდევ გაგიტანენ...

ნიკა

ნუ მთარსავ... კუთხური. კუთხურს „ბარსა“-ს ფეხბურთელები აწოდებენ. ჩამოაწოდეს... თავური დარტყმა...

(კადრი გაშეშდა, ბურთი კარისკენ რომ წავიდა იმ მომენტში)

არა! მე ამას ვერ ვუყურებ!

(შემოდის მამა)

კიდევ წააგე?

ნიკა

თავიდან უნდა დავიწყო. ახე, სად გავაშეშე! გოლი გაჰქონდათ... მაინც უნდა მოვუგოთ!

მამა

იცი, რა მახსენდება?

ნიკა

რა?

მამა

წაკითხული მაქვს, 50-იანი წლების დასაწყისში თბილისის „დინამო“ მოსკოვში, მოსკოვის „ტორპედო“-ს ხვდებოდა. ამ თამაშს თუ მოვიგებდით, ჩემპიონები ვხდებოდით. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 2;1-ს ვიგებდით. მოულოდნელად, მაყურებელი მოედანზე გადავიდა და მატჩი ჩაშალა.

ნიკა

მერე, ეს ხომ უსამართლობაა? რა მოხდა შემდეგ?

მამა

დაინიშნა განმეორებითი მატჩი. მაშინ ლეგენდარული ბორის პაიჭაძე მოთამაშე მწვრთნელი იყო. აი, ჩვენი სტადიონი ვის სახელსაც ატარებს, ის. შეკრიბა ბიჭები და გადაწყვიტეს მეორე მატჩიც მოეგოთ. მაგრამ საქართველოს მთავრობის მეთაური ჩაფრინდა მოსკოვში და ბორის პაიჭაძეს დავალება მისცა, მატჩი წაეგოთ.

ნიკა

ეს როგორ?... და წააგეს?... რატომ?

მამა

იმიტომ, რომ რუსეთს უნდა მოეგო შვილო, ყოველ შემთხვევაში, არ გვახარებდნენ!

ნიკა

იმიტომ გავხდით დამოუკიდებლები?

მამა

ჰო, იმიტომ. მაგრამ მერე ერთმანეთს დავერიეთ, გიორგი უშუქობაში და სიცივეში, ნავთის სუნში გაიზარდა, ამიტომ, დაიმახსოვრე: არაფერი არის მშვიდობის ფასი. ჩინელები ამბობენ, ყველაზე სახელოვან ომს მშვიდობა ჯობიაო. რას შვები, აგრძელებ თამაშს?

ნიკა

აბა რა! უნდა მოვუგო „ბარსა“-ს! დაჯექი, უყურე! (მამა ჩამოჯდება, ნიკა კომენტატორობს). ყურადღება! ყურადღება! იწყება ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონა“-ს შორის.

(ფეხბურთელები გასახდელიდან გამოდიან).

მესი („ბარსა“)

მე მგონი, ეს მატჩი არასოდეს დამთავრდება!

კაკა („რეალი“)

ალბათ... სანამ ჩვენ არ მოვიგებთ, ასე უნდა ჩვენს პატრონს!

მესი

მაშინ ... წავაგოთ უნდა! სხვა გზა არ დაგვრჩა! მაგათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენც ვიღლებით, მით უმეტეს, ბოლო წუთზე რომ თავიდან გვაწყვებინებენ თამაშს... გული გვწყდება...

კაკა („რეალი“) (ხელები გაშალა)

რა ვქნა ძაო, ჩვენს ხელში მხოლოდ კარში ზუსტი დარტყმაა... ისიც თუ დაგვაცადეს...

დედა

კიდევ თამაშობ? მაგას დაგიმალავ, საერთოდ!

შენც უზიხარ, არა? (გიორგის მიმართავს).

წადი, შენი საქმე გააკეთე. (გიორგი დგება)

გიორგი

იცით, რას გეტყვით, ეს ქვეყანა საგიჟეთია! ეს სახლიც კონკრეტულად, მინისტრის მიადგილე „ჯოისტიკით რომ ითამაშებს“, ბავშვს რა უნდა მოთხოვო!

მამა

მე ხომ შენც გეთამაშებოდი, შვილო!

გიორგი

სულ შენ თამაშობდი მაშინაც. მეუბნებოდი „მე ხომ ჯერ ბავშვი ვარო!“

მამა

სხვათა შორის, ყველანი ბავშვები ვართ! ყველაზე ღრმა მოხუციც კი ბავშვია. იცი რატომ? იმიტომ, რომ სული არ ბერდება!

გიორგი

სული არ ბერდება ალბათ, მაგრამ მაინც სხვა საქმე რომ გაქვს...

მამა

იმაზე დიდი საქმე, რომ იყო ბავშვი, არ არსებობს. აი, შენ იყავი ბავშვი და სულ გეჩქარებოდა დიდი გამხდარიყავი, მერე კი ხვდები, რა მარგი იყო უზრუნველი თამაში. როცა სხვა ფიქრობს რა ჩაგაცვას, რა გაჭამოს, არ გაცივდე, რა ისწავლო, შენ კი – თამაშობ... იცი, თამაში ცხოვრების რეპეტიციაა...

გიორგი

კარგი, კარგი, წავედი ჩემს ოთახში, რამეს ჩავწერ.

დედა

მართალია გიორგი! შეწყვიტეთ ახლავე ეგ თამაში!

ნიკა

აი, ამ თამაშს დავამთავრებ და...

მამა

ძალით უნდა წააგებინო?

ნიკა

რა მოხდა, ესენი ხომ ცოცხლები არ არიან!

მამა

მაგრამ, შენ უკვე ორჯერ წააგე და არ ჩაუთვალე. იმათ თუ არ იციან ეს, შენ ხომ იცი?

ნიკა (ჩაფიქრებული)

კარგი. ამას დავამთავრებ და როგორც დამთავრდება, ისე დამთავრდეს. (ტელეფონის ზარი). ჰო, თორნიკე მე ვარ! ბიჭო, იცი რა ხდება? „ბარსა“-ს და „რეალი“-ს ფინალს ვთამაშობ და ორჯერ ვაგებდი, ბოლო წუთზე შევაჩერე თამაში და ახლა მესამედ ვიწყებ, უნდა მოვუგო! გაინტერესებს ხომ? მე რეპორტაჟს წავიყვან და შენ ტელეფონში მოისმინე.

მამა

არა, ნამდვილად კოტე მახარაძე გამოვა!

დიმიტრი ობოლაძეობა ხომ გარანტირებული გვაქვს.

ნიკა (ტელეფონში)

მამამ მითხრა, დიმიტრი ობოლაძე ხარო! (იცინის) მოკლედ, ჩვენი სატელევიზიო სტუდია „სანტიაგო-ბერნაბეო-ზეა განლაგებული. მშვენიერი ამინდია მადრიდში. აქ კატალონიელები თავს მთლად კარგად გერ უნდა გრძნობდნენ, იმიტომ, რომ „რეალი“-ს ფანებითაა გატენილი სტადიონი. „მა-დრიდ, მა-დრიდ, - ჭექენ დოლის ბრაგუნის თანხლებით. აჰა, მატჩიც დაიწყო! ბურთი მიიღო რაულმა, გადააწოდა .... არა ვერ გადააწოდა! „ბარსა“-ს ფეხბურთელებმა ჩაჭრეს ბურთი. ხავი თამაშობს კარგად. გრძელი პასი წინ - მესისკენ, მესიმ გვერდი აუარა მეკარეს და .... დარტყმა! ბურთი ზედა ძელს მოხვდა. თორნიკე, მაგარი თამაშია, არა? რა ვიცი ყველა მეჩხუბება, გამორთე კომპიუტერიო (თან თამაშობს) მამაჩემი მეთამაშება მარტო, ეტყობა, ბავშვობა ენატრება: გოოლ! გოოოლ! (ტელეფონს მიაგდებს და პარკეტზე მუხლებით გასრიალდება გოოოლ!

დედა

რა გაყვირებს ბიჭო, გული გამისკდა! საგიჟეა პირდაპირ (მობილური რეკავს). ჰო, მანანა, მირეკავდი? რას გამოხვალ, ტელეფონი უჭირავს და ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მიჰყავს ძმაკაცისთვის, აი, ასეთ დღეში ვარ! (გადის, თან საუბრობს)

ნიკა

მოკლედ, თორნიკე, გაიმარჯვა მადრიდის „რეალმა“! როგორც მოსალოდნელი იყო!

მამა

ასე მაინც თქვი, „როგორც იქნა-თქო!“

ნიკა

კარგი! როგორც იქნა, გაიმარჯვა მადრიდის „რეალმა“, სამეფო გუნდმა! რომელმაც მეათედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასი ნიკაკასთან ერთად, აი, ჩვენ ვხედავთ დაჯილდოების ცერემონიას, კანავარო, გუნდის კაპიტანი, ხელში იღებს ვერცხლის თასს, კოცნის და მაღლა სწევს. მთელი მადრიდი ზეიმობს, ზეიმობს ჩვენი სახლიც. აი, გიორგიმ ჩაიარა და თითი საფეთქელთან დაიტრიალა, რაც იმას ნიშნავს, „ყოჩაღ, ნიკაკა, გილოცავთ შენ და კაკას გამარჯვებასო“, მოკლედ, ნახვამდის ტელემაყურებლებო და ჩემო თორნიკე, თორემ მალე გამლახავენ (ყურმილს დაკიდებს).

აბა გამორთე ეგ და ტელევიზორი ჩართე!

(ნიკა ტელევიზორთან მიდის)

ანრი („ბარსა“)

გილოცავთ, ძლივს არ დავისვენეთ? არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, რაღაც უნდა მოვიფიქროთ!

კაკა („რეალი“)

რას გვილოცავთ, ორჯერ თქვენ მოიგეთ...

ვალდესი

მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ... ვიცი...

II მოქმედება

ფეხბურთელთა გასახდელი

ვალდესი („ბარსა“)

რა ქვია ამას? ძალადობაა, მეტი არაფერი!

მესი („ბარსა“)

ჰო, ეგრეა, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ ხომ ვირტუალური ფეხბურთელები ვართ!

ვალდესი („ბარსა“)

კი, მაგრამ... ჩვენც ხომ ვთამაშობთ, განვიცდით, გვიხარია, გვწყინს, ხომ კარგად ხედავს, რომ ვჩხუბობთ კიდეც. ნუთუ ეს მასზე არ მოქმედებს?

მესი („ბარსა“)

ბავშვია ჯერ. თუმცა, ალბათ დიდებიც ვერ ხვდებიან, რომ ჩვენ, – ჩვენი სამყარო გვაქვს, ჩვენი რეიტინგი, თუნდაც...

ვალდესი “(ბარსა“)

მოკლედ, მე მაქვს იდეა – ჭკუა ვასწავლო ნიკას!

ფეხბურთელთა ჯგუფი

როგორ?

როგორ და, დისკის ჩართვა შეუძლებელი გავხადოთ!

ხავი

ეს რომც შევძლოთ, ჩვენც ხომ დავისჯებით, გავქრებით, ვერ ვითამაშებთ...

ჩვენი ორიგინალები თამაშსა და თამაშს შორის ერთობიან, შვილებს უვლიან, ცოლებს ეფერებიან. ჩვენ კი მხოლოდ მაშინ ვცხოვრობთ, როცა კომპიუტერს ჩართავენ, დასანანი იქნება, ესეც რომ არ მოხდეს, – არარაობად ვიქცევით...

მესი (ჩაფიქრებული)

ხავი მართალია... ჩვენ თამაშის გარეშე ცხოვრება არ გვაქვს... არადა, რა კარგი იქნებოდა, აქედან გასვლა რომ შეგვეძლოს!

ვალდესი

ფუჭი ოცნებაა, მომავლის საქმეა! ახლა ის მოვახერხოთ, რომ დისკი გავაფუჭოთ, რათა ნიკა მიხვდეს, რომ მისი უსამართლობის გამო, პროტესტს ვაცხადებთ!

(შემოდის კაკა)

ბიჭებო, ბოდიშს გიხდით, რომ ვალდესის სიტყვები გავიგე, მაგრამ მე ჩემი იდეა მაქვს!

მესი („ბარსა“)

კარგი ბიჭი ხარ, ჩვენს დარდს რომ იზიარებ! მაინც, რა მოიფიქრე?

კაკა („რეალი“)

როცა ნიკა კიდევ მათამაშებს, მაღალი ძაბვის ველის შექმნის მეშვეობით ხელს დავუქნევ და მუნჯურად გავაგებინებ, რომ თასი თქვენ მოგანიჭონ, ჩვენ არ გვჭირდება ასეთი თასი.

ვალდესი („ბარსა“)

კი, მაგრამ როგორ უნდა შექმნა ეს მაღალი ძაბვის ველი?

კაკა („რეალი“)

ძალიან, ძალიან მოვინდომებ, დავძაბავ მთელს გონებას, სულს, მთელს სხეულს და მივაღწევვ, რომ სხვა მოძრაობა შევასრულო!

მესი („ბარსა“)

კი, მაგრამ, ნიკა შეამჩნევს შენს ოდნავ განსხვავებულ მოძრაობას?

კაკა (რეალი)

ნიკამ ზეპირად იცის, როდის რას ვშვებით. ჩემი ფანია, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ხელიც რომ დავუქნიო, ეს მას შეუმჩნეველი არ დარჩება!

ფეხბურთელთა ჯგუფი

ძალიან კარგი, აბა, ღმერთი იყოს შენს მხარეს!

(დამეა. ნიკა ფეხაკრეფით შემოდის ოთახში. უკვე საძილედ ჩაცმული, კომპიუტერს ჩართავს).

ნიკა

ყველას სძინავს, ერთსაც წავითამაშებ. „რეალს“ შევახვედრებ „მილანს“ სპერთასის ასაღებად. (ფეხბურთელები მოედნისკენ დაიძრნენ. კაკა მსხვილი პლანით გამოჩნდა, უცებ ნიკას ხელი დაუქნია ისე, თითქოს „არას“ ეუბნებოდა. ნიკამ შეაჩერა კადრი და თავიდან დაიწყო პროგრამა. ისევ გამოჩნდა კაკა და ისევ დაუქნია ხელი. ისევ უცნაურად).

ნიკა

ასეთი რამ არ მინახავს! რა არის ეს?

(თავიდან დაატრიალებს დისკს. კაკა ჩვეულებრივად გამოვა მოედანზე. ხელს აღარ აწევს).

მომეჩვენა? კიდევ ერთხელ დავიწყო თავიდან!

(ახლა კაკა გაუღიმებს და ხელს ისევ აუწევს).

ნიკა ტელევიზორს გამორთავს და ოთახისგენ გადის.

კაკა („რეალი“)

ყველაფერი გამომივიდა, ვალდეს! ხელი დავუქნიე და მანაც შეამჩნია.

ვალდესი („ბარსა“)

რა იცი, რომ შეამჩნია?

კაკა („რეალი“)

პირველად რომ ავუწიე ხელი, ეგრევე დაასტოპა და თავიდან ჩართო დისკი. მეორეჯერაც რომ დავუქნიე, ისევ დაასტოპა, მესამედ აღარ დავუქნიე. მე მგონი, ყველაფერს მიხვდა. აღარ ითამაშა და კომპიუტერი გამორთო!

ვალდესი („ბარსა“)

საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ხვალ?!

კაკა („რეალი“)

მე მგონი, ყველას უამბობს ამ ამბავს!

(დილა გათენდა, ნიკა უკვე ტელევიზორთან ზის. შემოდის გიორგი)

გიორგი

რა იყო ბიჭო, „ჯოისტიკით“ გეძინა?

ნიკა

იცი, რა მოხდა გუშინ? გაგიჟდები, მთელი ღამე არ მეძინა!

გიორგი (ხმით მიბაძა უმცროს ძმას)

რა მოხდა ჩემო პატარა?

ნიკა

რა მოხდა და, კაკამ ხელი დამიქნია, მე მგონი მეუბნებოდა „არაო!“

გიორგი

ხომ ვამბობდი, ეს ბავშვი გააფრენს-თქო.

ნიკა

კარგი, აბა მოდი, შენ ნახე!

გიორგი

მე მაინც ვერ გავარჩევ, რა ხდება. იცი, რა ვქნათ? ჩემს კომპიუტერის ოსტატს დავურეკავ! (მობილურს კრეფს). გია, გიორგი ვარ, გამარჯობა. სათამაშო პროგრამამ აურია და ვერ ნახავდი? კარგი, კარგი.

ნიკა

რაო, რა თქვა?

გიორგი

დღეს კვირაა, ქალაქგარეთ გავდივარ და ჩემი კოლეგა დაგეხმარებათ, ბატონი აპოლონიო, - თითქმის მეცნიერია და გამომგონებელიო!

(შემოდის მამა)

მამა

რა ხდება ბიჭებო? რაღაც საქმიანი იერი გაქვთ?

ნიკა

მამა, იცი რა მოხდა? ყურადღებით მომისმინე! საერთოდ რომ არ მომხდარა, – ისეთი რამ მოხდა. კაკა მოედანზე რომ გადიოდა, ხელი ამიწია და ისე გააქან-გამოაქანა, თითქოს „არაო“ მეუბნებოდა. გაიგე?

მამა

გავიგე, (გიორგის გადახედა ღიმილით). ესე იგი, შენ გაინტერესებს, რატომ გითხრა „არაო“, არა?

ნიკა

ჰო, მაინტერესებს...

მამა

წესით შენით უნდა მიმხვდარიყავი...

ნიკა

როგორ? რას უნდა მოვმხვდარიყავი?

მამა

ასე გითხრა, არ გვჭირდება შენი მოცემული თასიო! გაიგე?

გიორგი

მამა, არ გადამრიო, შენც გჯერა ამ სისულელის?

მამა

მჯერა თუ არ მჯერა, ნიკა იმას მაინც უნდა მიმხვდარიყო, რომ თასი „ბარსა“-ს ეკუთვნოდა.

გიორგი

აი, ახლა კომპიუტერს ოსტატთან მივიტანთ და ყველაფერი გამოჩნდება!

მამა

მე წაგაღებინებთ, ყველანი ერთად წავიდეთ. მეც დამაინტერესა ამ ამბავმა!

დედა (მაყურებელს)

კაცებს ყველას ერთნაირი ჭკუა აქვს, – დიდსაც და პატარასაც!

(სცენის მარცხენა ნაწილში აპოლონი რაღაც დეტალს ჩაჰკირკიტებს).

გიორგი

ბატონი აპოლონი გვინდა, – ალბათ თქვენ ბრძანდებით, არა?

აპოლონი

ეს თქვენ ხართ, გია რომ მელაპარაკა? მგონი რაღაც გაგიფუჭდათ!

ნიკა

კი არ გაფუჭდა, რაღაც შეიცვალა!

აპოლონი

იქნებ გაკეთდა? უკეთესობისკენ შეიცვალა?

მამა

დიახ, ბატონო აპოლონ, მე მაინტერესებს, მართალს ამბობს თუ არა ნიკა.

აპოლონი (ნიკას)

რაში მდგომარეობს ეს ცვლილება, ჩემო პატარავ?

ნიკა

კაკა თამაშის წინ ხელს მიქნევს. მანამდე კი არ მიქნევდა. ალბათ რაღაცას მანიშნებს...

აპოლონი (სამივეს ყურადრებით შეათვალიერებს)

აბა, მოიტა შენი დისკი!

(ნიკა მიაწოდებს)

ვნახოთ... ვნახოთ!

(ეკრანზე ფეხბურთელები გამოჩნდებიან)

ნიკა

აი, ახლა .... დააკვირდით!

აპოლონი

კი, ნამდვილად ხელი დაგიქნია.... იცით, რა ვქნათ? ეს დამიტოვეთ, შევისწავლი. თუ მართლაც ისეა საქმე, როგორც თქვენ ამბობთ, რაღაცას გავაკეთებ... არადა, ჩემი ეჭვები მართლდება... მგონი მართლდება...

გიორგი

რა ეჭვები გაქვთ, ბატონო აპოლონ?

ეჭვები ხელოვნური ინტელექტის არსებობის შესახებ. უფრო სწორად, ინტელექტის დაპროგრამებული არეალიდან გამოსვლის შესაძლებლობის შესახებ...

მამა

ეს ხომ ფანტასტიკაა!...

აპოლონი

ვნახოთ... ვნახოთ... ყველაფერი ხდება ქვეყანაზე... როგორც ვფიქრობდი, ისე მიდის ყველაფერი... ეს მაინც უნდა მომხდარიყო... ახლა თუ არა, მოგვიანებით... (ანიშნებს, რომ თავისუფლები არიან).

ნიკა

როდის მოვიდეთ?

აპოლონი

ტელეფონი დამიტოვეთ და დაგირეკავთ, რამდენიმე დღეში...

(მამა-შვილები ოსტატისგან გამოვიდნენ)

გიორგი

ოოო, ნიკა, რა მეცადინეობა გიწევს, ეს რამდენიმე დღე?

მამა

ზოგი ჭირი მარგებელია, კარგია, რომ აქ დავტოვეთ!

(ტელევიზორში ძველი მატჩის ტრანსლაციაა)

ნიკა

მამა, ეს „სპარტაკი“ ძლიერი გუნდი იყო?

მამა

ძალიან. ხშირად გვიგებდნენ, ჩვენც ვუგებდით. ეს თამაში ჩვენ მოვიგეთ 2:0. სტადიონზე ვიყავი, ნემსის ჩასაგდები ადგილი არ იყო, იმდენი მაყურებელი მოვიდა!

ნიკა

ესე იგი, ეს თქვენი „ელ კლასიკო“ იყო?

მამა

კარგი შედარებაა! „ელ კლასიკო“ იყო მოსკოვის ნებისმიერ გუნდთან შეხვედრა, განსაკუთრებით „სპარტაკთან“, ტორპედო“-სთან და „დინამო“-სთან... მოსკოვშიც ბილეთს ვერ იშოვიდი, განსაკუთრებით ჩვენთან უხაროდათ მოგება...

ნიკა

ასეა ესპანეთშიც!

მამა

პატარა ვიყავი – საბჭოთა ნაკრები ევროპის თასის ფინალურ მატჩს ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ მადრიდში მართავდა, რადიორეპორტაჟს ვუსმენდი, მაშინ ტელერეპორტაჟები უცხოეთიდან ჯერ არ იყო.

ნიკა

როგორ დამთავრდა თამაში?

მამა

ორით-ერთი. წააგო საბჭოთა გუნდმა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ესპანეთის ნაკრებში არც ერთი ბასკი და კატალონიელი არ ათამაშეს, ხოლო რუსებმა არცერთი ქართველი არ დააყენეს შემადგენლობაში. ესპანეთში ფაშისტური რეჟიმი იყო, ჩვენთან – კომუნისტური!

ნიკა

კიდევ უკვირთ, რატომ ხართ დამოუკიდებლებიო!

მამა

ისიც უნდა იცოდე, ამ მატჩამდე ოთხი წლის წინ, პარიზში მესხის და მეტრეველის, ჩოხელის მონაწილეობით სსრკ-ს ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ასეთი ფეხბურთელები გვყავდა!

ნიკა

იცი, რა აზრი დამებადა? შენ ჩამოთვალე საუკეთესო ფეხბურთელები, მათი მონაცემები და მე სიმბოლურ ნაკრებს გავაკეთებ, ყველა ნაკრებს დავამარცხებ!

მამა

მშვენიერი აზრია! მესხი, მეტრეველი, გუცაევი, იამანიძე, ბორის პაიჭაძე, კოტრიკაძე, ყიფიანი, შენგელია, ჩივაძე, ჩოხელი, ასათიანი, მაჩაიძე, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, სვანიძე.. ყველას მონაცემს ჩამოგიწერ და საქართველოს სიმბოლური ნაკრები დააპროგრამე! საკმაოდ დიდი სია იქნება! (ზარი რეკავს, თორნიკეა)

ნიკა

ჰო, თორნიკე! გამომიარეთ და წავედით! ამა, ფეხბურთზე მივდივართ! (ნიკა ბურთს იღებს და გადის)

(მამა "ახალ ამბებზე" გადართავს ტელევიზორს)

დიქტორი

საქართველოს ნაკრები ისევ დამარცხდა, ამჯერად ისლანდიაში.

მამა

ეჰ, მართლაც რომ შეიძლებოდეს იმ ფეხბურთელების გაცოცხლება! ვერცერთი ნაკრები ვერ დაგვიდგებოდა წინ!

(მობილური რეკავს)

დიახ, გისმენთ! აა, ბატონო აპოლონ, გამარჯობათ! როგორ არის საქმე? გაკეთდა? კარგით, გამოვივლით!

(ნათდება სცენის მარცხენა მხარე)

კაკა („რეალი")

გაიგე, რა გააკეთა აპოლონმა?

ვალდესი (ბარსა“)

არა, რა გააკეთა?

კაკა („რეალი“)

აპოლონმა მაღალი ძაბვის ველის გამაძლიერებელი გამოიგონა და ახლა ჩვენს კომპიუტერს მიუერთა!

ვალდესი („ბარსა“)

მერე და ეს რას ნიშნავს?

კაკა („რეალი“)

მინიმუმ იმას, რომ თავისუფლად მოძრაობა და ლაპარაკი შეგვეძლება მმართველთან, მაქსიმუმ... არა, არა ეს წარმოუდგენელია, ამაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია!

ვალდესი („ბარსა“)

ეს რა მითხარი? განა თავისუფლად მოძრაობა და ლაპარაკი საკმარისი არ არის ჩვენთვის? საცოდავი, უუფლებო არსებისათვის, რომელსაც ღილაკის დაჭერით უბრძანებენ – როდის უნდა დაარტყას, არადა საგოლე დარტყმა ერთი წამით ადრე უნდა გაკეთებულიყო, ან პენალტის დროს რატომ უნდა მკარნახობენ საით, რომელ კუთხეში გადავხტე? რა ბედნიერება იქნება თავისუფალი მოძრაობა! წაგების დროსაც ვეღარ დაგვსტოპავს.

კაკა („რეალი“)

რომც დაგვსტოპოს, კონტაქტს დავამყარებთ და პროტესტს გამოვუცხადებთ!

ვალდესი („ბარსა“)

შენ ეს ყველაფერი საიდან იცი?

კაკა („რეალი“)

აპოლონმა ექსპერიმენტი ჩემზე ჩაატარა, როცა ნახა, რომ ხელს მაშინ ვიქნევდი, როცა მინდოდა, ჩემი ველი გააძლიერა და კონტაქტი დავამყარე!

ვალდესი („ბარსა“)

სასწაულია, რა უთხარი?

კაკა („რეალი“)

გმადლობთ, ბატონო აპოლონ-მეთქი. სკამიდან გადმოვარდა საბრალო, - ისე გაუკვირდა. არადა, თვითონ მუშაობდა ამაზე! მაინც არ ელოდა ასეთ შედეგს!

ვალდესი („ბარსა“)

ესე იგი, ნიკა რომ ჩაგვრთავს, მეც დაველაპარაკები?

კაკა („რეალი“)

აუცილებლად! მაგრამ ფეხბურთელის საქმე ლაპარაკი კი არა, კარგი თამაშია. ნიკამ ილაპარაკოს და ჩვენ ჩვენი თამაშით ავმეტყველდეთ, ფეხბურთი ხომ ხელოვნებაა! საოცარი ხელოვნებაა!!!

(ოთახში მამა შემოდის. ხელში კომპიუტერი უჭირავს)

მამა

მოვიტანე ნიკა! აი, ეს პატარა დეტალი მიუერთა შენს „პლეისტეიშენს“.

ნიკა

რა არის ეს, რა საჭიროა?

მამა

საოცარი რამ გააკეთა, ბატონმა აპოლონმა! ფეხბურთელები, როცა აუცილებელია თვითონ ურტყამენ. ესე იგი მათ თავისუფალი მოძრაობის უნარი მიანიჭა, ღმერთო! ჩუმად უნდა ვიყოთ, თორემ ვინმეს გიჟი ვეგონები და სამსახურიდან მომხსნიან. იკა, არავის უთხრა ეს ამბავი, გაიგე? არავის!

(ნიკა კომპიუტერს გამოსტაცებს და ტელევიზორს მიუერთებს)

ნიკა

აბა, ერთი ჩავრთო: „რეალი“ – „ბარსა“ . ვნახოთ, რას აკეთებენ! (მოედანზე გამოსულმა ფეხბურთელებმა ხელი დაუქნიეს ნიკას).

ნიკა

მამა, მამა! ყველამ დამიქნია ხელი! კაკა ახლოს მოვიდა და გამიცინა კიდეც! აუ, რა მაგარია!

მამა

არავისთან წამოგცდეს ნიკა, არავისთან! გაიგე?!

ნიკა

ბურთი მიიღო კანავარომ, ჩააწოდა რონალდუს, პორტუგალიელ ვარსკვლავს... დარტყმა არის! მამა! უჩემოდ დაარტყა!

მამა

არავისთან წამოგცდეს, გაიგე? ახლა კი უყურე თამაშს! დაე, თავისუფლად შეეჯიბრონ ერთმანეთს. ჩვენ კი,. დავტკბეთ „ელ კლასიკოთი“!! დედამიწაზე ჯერ არნახული მატჩით, სამწუხაროა, რომ ასეთ მატჩს, მხოლოდ ორი მაყურებელი ვესწერებით.

ნიკა

დედა! გიორგი! შემოდით, უყურეთ ნამდვილ „ელ კლასიკოს!“

(დედა და გიორგი შემოდიან. ადგილებს იკავებენ)

დედა

რა ხდება ასეთი განსაკუთრებული?

ნიკა

თვითონ თამაშობენ, დედა, უჩემოდ!

გიორგი

მერე რა! ესენი დიდი ხანია თვითონ თამაშობენ, დააყენე საჭირო პროგრამაზე და ითამაშებენ...

ნიკა

არა, ეს სულ სხვაა! ხელსაც მიქნევენ, კაკამ გამიცინა, ახლა მართლაც თვითონ თამაშობენ, პროგრამას აღარ ემორჩილებიან!

გიორგი

ეს აპოლონმა გააკეთა?

მამა

ჰო, რა მასშტაბის მეცნიერი გვყოლია ქართველებს და არავინ ვიცოდით! ამ საქმეს უნდა მივხედო!

გიორგი

ჰოო, ესე იგი აპოლონი მეც დამჭირდება...

მამა

შენ რაღაში დაგჭირდება?

გიორგი

„ბითლზები“-ს ახალ კონცერტს ჩავწერ! გადავრევ მსოფლიოს! მომეცით აპოლონის ნომერი! (მობილურზე რეკავს). ბატონო აპოლონ, თქვენთან მინდა მოსვლა... მოვფრინავ!

ნიკა

აი, ბოლო-ბოლო ვინ გააფრინა... დარწმუნდით?

დედა

ახლა მგონი მეც გავაფრენ, არა, სად შემიძლია ამდენი ემოციის გადატანა, მე გავედი (გადის)

ნიკა

მამა, შენ ნამდვილი გულშემატკივარი ხარ! ყოჩაღ! (მამა ნიკას შუბლზე აკოცებს).

მატჩი დასრულდა. დასრულდა 2:1 „ბარსა“-ს სასარგებლოდ. ძალიან მინდოდა „რეალი“-ს გამარჯვება, მაგრამ, რა ვუყოთ, მთავარია ღირსეულმა გაიმარჯვა.

მამა

და რაც უმთავრესია, სამართლიანობა აღსდგა! ანუ როგორც ბაბუაჩემი იტყოდა, სამართალმა პური ჭამა!

ნიკა

სამართალმა პურიც ჭამა და მწვადიც მიაყოლა, კიდე ჩიპსები ჭამა და კოკა-კოლაც დააყოლა. მიმდინარეობს გამარჯვებულთა დაჯილდოვება. „რეალი“-ს ფეხბურთელები ულოცავენ „ბარსა“-ს ჩემპიონთა ლიგის თასის მოპოვებას. აი, კაკა მსხვილი პლანით! ხელი ჩამოართვა მესის. შემდეგ ჩვენსკენ შემოტრიალდა, ხელი დაგვიქნია და... მამა! რაღაც მანიშნა!

მამა

რა განიშნა?

ნიკა

ვიცი... ვიცი, რაც მანიშნა!

მამა

მაინც რა? არ მეტყვი?

ნიკა

ჯერ შევამოწმებ და მერე გეტყვი!

მთელი გუნდი მოედანზე განლაგდა. სურათებს უღებენ! (შემოდის დედა).

დედა

ნიკა, იმეცადინე და ადრე დაწექი, ხვალ სკოლაში მიდიხარ, ადრე უნდა ადგე.

ნიკა

კარგი დედა, გამოვრთავ კომპიუტერს, ვიმეცადინებ და ადრე დავწვები!

კაკა („რეალი“)

შენ ნახე, ეგ თუ ღამე არ გაიღვიძებს და არ დამეკონტაქტება.

ვალდესი („ბარსა“)

ჰო, კარგი ბიჭია! ბედნიერი ვარ!

კაკა („რეალი“)

გილოცავ გამარჯვებას. (გადაეხვევა ვალდესს)

ვალდესი („ბარსა“)

ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ ვიცვლები, რაღაც ხდება ჩემში!

კაკა („რეალი“)

მაგარი სიურპრიზი გელოდება. ჯერ ცოტა მოიცა! ნიკა აუცილებლად ჩაგვრთავს ამ ღამით და რაც აპოლონმა გააკეთა, ბოლომდე უნდა გავანდო...

ვალდესი („ბარსა“)

ამაზე მეტი რა უნდა იყოს, რაც მან გააკეთა.

კაკა („რეალი“)

აი, ნიკა გვიახლოვდება.... კარგი ვალდეს! კიდევ ერთხელ გილოცავ, ახლა კი დროებით, ნიკას უნდა შევხვდე...

(ნიკა ჩაბნელებულ ოთახში რთავს „პლეისტეიშენს“ და ტელევიზორს ... ეკრანზე კაკა გამოჩნდება.

ნიკა (ბუტბუტებს)

კაკა გამოჩნდა!

სასწაულია! კაკა გუნდის გარეშე გამოჩნდა.

კაკა („რეალი“)

გამარჯობა ნიკა, როგორ ხარ?

(ნიკა უკან დაიხევს)

ნიკა

გამარჯობა! ქართული იცი?

კაკა (ღიმილით)

კაკა („რეალი“)

გისმენდი ხოლმე და ვისწავლე. ისე ხშირად მათამაშებდი, რომ ბევრი გაკვეთილი ჩამიტარე ქართულში, თან რომ კომენტარს გვიკეთებდი, უფრო ადვილად მივხვდი, – რა იყო „ბურთი“, „კარი“, “მოედანი“, „ფეხბურთელი“, „მეკარე“, „დარტყმა“, „იმეცადინე“, „ნუ ზარმაცობ“ და სხვადასხვა.

ნიკა

სასწაულია... სულ ვოცნებობდი შენ გაცნობაზე და აი... ასრულდა!

კაკა („რეალი“)

მაღალი ძაბვის ველის დედუქტორს მარჯვენა მხარეს წითელი ღილაკი აქვს, მაგას დააჭირე, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი!

(ნიკა მოძებნის ღილაკს. ტელევიზორი ტკაცუნს დაიწყებს, ოთახში რამდენჯერმე გაიელვებს. რამდენიმე წამში კაკა ნიკას წინაშე აღმოჩნდება).

ნიკა (დაიმალა სავარძლის უკან)

მიშველეთ!

კაკა („რეალი“)

დაწყნარდი, ნიკა დაწყნარდი, ჩვენი დიდი ხნის ოცნება ასრულდა! შენ კი გეშინია? არაფერს გავნებ, ხომ იცი – როგორ გაფასებ!

ნიკა (ფრთხილად მიუახლოვდება კაკას, ხელით შეეხება)

ნამდვილია!

კაკა („რეალი“)

ჰო, თითქმის ნამდვილი ვარ! აბა ერთი შენ შეგამოწმო, შენ ხომ არ მეჩვენები? (იცინის)

ნიკა

აი, ნახე ნამდვილი ვარ, ნამდვილი!

კაკა („რეალი“)

მოდი აქ ჩამოვჯდეთ, შენთან სალაპარაკო მაქვს.

(ჩამოსხდებიან).

ერთი წინადადება მაქვს შენთან!

ნიკა (დასერიოზულდა)

გისმენ!

კაკა („რეალი“)

მოდი, ჩვენი მწვრთნელი გახდი. ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ, ბედნიერი იქნები. ბევრი ფული გექნება, ყველას ეყვარები, შენც გეყოლება პატარა ფანები, როგორც შენა ხარ...

ნიკა

აუ, რა კარგია! მაგრამ, თქვენ ხომ უკვე ხართ მსოფლიო ფეხბურთში, – ვის რად უნდა მეორე კაკა, რონალდუ, მესი? თანაც არც დაბადების წელი გაქვთ და არც ჯანმრთელობის ცნობა! ვინ გათამაშებთ?

კაკა („რეალი“)

ეგ მართალია, რაღაც მოვიფიქროთ...

ნიკა

ისე, რა მაგარი იდეაა!... რაღაცას მოვიფიქრებ...

კაკა („რეალი“)

მოიფიქრე... ახლა წავალ, ბიჭებს გავახარებ, შენ კი დაწექი, დაიძინე. ხვალ სკოლაში ხარ წასასვლელი. (შედის ტელევიზორში და ქრება. ნიკა ტელევიზორს გამორთავს).

აპოლონი (სიბნელიდან აპოლონი გამოდის)

შენ შეგიძლია ძალიან დიდი საქმე გააკეთო, ქართული ფეხბურთი ააღორძინო და არნახულ სიმაღლეზე აიყვანო! კარგად გაიხსენე, რას გიამბობდა მამა!

ნიკა (თავისთვის)

მაგარი იდეა მომივიდა! მე საქართველოს სიმბოლური ნაკრები უნდა შევქმნა!.. კაკა მაპატიებს... (ტელევიზორში 1964 წლის ფინალური მატჩის რეპორტაჟია).

(შემოდის მამა)

მამა

ბრწყინვალე თამაში იყო. რა მალე გადის დრო... გუშინდელივით მახსოვს ეს დღე... მთელი საქართველო ზეიმობდა... ტაშკენტის სტადიონზე დამატებითი მატჩი გაიმართა თბილისის „დინამო“-სა და მოსკოვის „ტორპედო“-ს შორის...

4:1 მოვიგეთ. დათუნაშვილმა კუთხურიდან გაიტანა გოლი, - ორი გოლი გაიტანა. მესხმაც გაიტანა და მეტრეველმაც ... (შემოდის დედა)

კიდევ ფეხბურთს უყურებ? მოკლედ, სტადიონზე მეცხოვრა, ის ჯობდა, ამ სახლში ცხოვრებას!

მამა

ეჰ, სტადიონზე ასეთ თამაშს კიდევ დიდხანს ვერ ვნახავთ!

დედა

მერე? შენ მინისტრის მოადგილე ხარ, შენი შვილი ფეხბურთელობაზე ოცნებობს და ჰა, გააკეთ თ რამე!

მამა

გავაკეთებთ, გავაკეთებთ! უნდა გავაკეთოთ, აბა რა უნდა ვქნათ! უნდა მივხედოთ ბავშვთა ფეხბურთს, გავზარდოთ ნიჭიერი ფეხბურთელები. დავაფინანსოთ ადგილობრივი გუნდები, ფეხბურთელებს ისეთი კონტრაქტები უნდა გავუფორმოთ, რომ საზღვარგარეთ არ გარბოდნენ. ქართველ მწვრთნელებს ისეთივე პატივი მივაგოთ, როგორც უცხოეთიდან მოწვეულთ! გავაკეთებთ!

დედა

ღმერთმა გისმინოთ! იქნებ ჩვენმა ნიკამაც აისრულოს ოცნება! (შემოდის გიორგი).

გიორგი

რა მაგარი კაცია ეს აპოლონი, ზოგი დაგიწყებდა, არ გამოვა ეგ ამბავი, ეს არ მაქვს, ის არ იშოვება! ყველაფერი გამოვაო, მითხრა!

მამა

მართლაც დიდი კაცია აპოლონი, მასაც და მისნაირებსაც სხვაგვარი ყურადღება სჭირდება!

დედა

მერე? შენ ხარ მინისტრის მოადგილე და გააკეთეთ რამე, თორემ სულ ლაპარაკობთ და ლაპარაკობთ... (შემოდის ნიკა)

ნიკა

არამარტო ვლაპარაკობთ, ვაკეთებთ კიდეც! მამა! შენი მონაცემები განხორციელებულია!

მამა

შეადგინე გუნდი? ყოჩაღ, მოგვიანებით ჩავრთოთ და ვნახოთ ერთი, რა გააკეთე! (კარზე ზარია, შემოდის აპოლონი).

აპოლონი

აქა მშვიდობა! გიორგიმ მომცა თქვენი მისამართი. ერთი საქმის შედეგი მაინტერესებს.

მამა

ალბათ ის, - კაკამ რომ გაუცინა ნიკას...

ნიკა

„გაუცინა“ რა დიდი მიღწევაა... მე ისეთი რამ გავაკეთე (შეჩერდება) უფრო სწორად, ბატონმა აპოლონმა რომ გააკეთა და მამამ რომ ზუსტი მონაცემები მომცა, ქართველი ვარსკვლავების შესახებ... ყველაფერი ასრულდა!

(მივა ტელევიზორთან და კომპიუტერს რთავს).

ყურადღება! თქვენს წინაშეა საქართველოს ლეგენდარული ნაკრები! ედა, შენ წვეთები მოამზადე, მამა – შენც! გიორგი გაუძლებს. (გაიცინებს) ყველანი დასხედით, ადგილი გაათავისუფლეთ... თქვენს წინაშეა ბორის პაიჭაძე... (ტელევიზორის ეკრანიდან თბილისის „დინამო“-ს იმდროინდელ ფორმაში გამოწყობილი ფეხბურთელი გადმოდის)

მამა

ღმერთო ჩემო! ეს რა არის?

(დედა შეკივლებს)

ნიკა

მიხეილ მესხი! თავის ცნობილი ფინტებით...

(მესხი გადმოვა და პაიჭაძეს გვერდით მიუდგება. მამა წამოდგება და მესხთან მივა, ხელს მოკიდებს)

მამა

კი, ნამდვილად მესხია! არაყი მომიტანე, ქალო! ინფარქტმა არ დამარტყას!

ნიკა

დედა, მიუტანე არაყი!

თქვენს წინაშეა სლავა მეტრეველი! ევროპის თასის მფლობელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (მეტრეველი რიგში დგება). თქვენს წინაშეა ილია დათუნაშვილი, შოთა იმნაძე! გივი ჩოხელი! არქაია! სიომად წოდებული... გაიოზ ჯეჯელავა!... ბასა ღოღობერიძე! (ყველანი რიგში დგანან) სერგო კოტრიკაძე! ზაურ კალოევი!

მამა

არავინ გამოგრჩეს, შვილო!

ნიკა

თუ ვინმე გამომრჩა, მერე მეტყვი და დავამატებ! თქვენს წინაშეა დავით ყიფიანი - ევროპის თასის მფლობელი, ფეხბურთის რაიონდი, რომელიც ოლიმპიური მედლის გარეშე დარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ არ იკადრა უკვე მოგებული მატჩის ბოლო წუთებში გამოსულიყო მოედანზე და მედალი მიეღო! ვლადიმერ გუცაევი, ფინტების დიდოსტატი, რამაზ შენგელია, დავით სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე,

მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია, რევაზ ჩელებაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია. 1981 წლის ლეგენდარული მატჩის გმირი (ირთვება კადრი მატჩიდან) ისმის კოტე მახარაძის ხმა:

„ყიფიანმა გადააწოდა დარასელიას, დარასელიამ გვერდი აუარა ერთ მცველს, მოატყუა მეორეც, დაარტყა – არის! დარასელიამ მეკარის კუთხეში, ზუსტი დარტყმით მოათავსა ბურთი ბადეში! გოლი! გოლი! გო-ო-ლი!!

ნიკა (აგრძელებს)

ბატონო აპოლონ! დედა! მამა, გიორგი! აი, ეს გუნდი შევქმენი მე და რომ გავიზრდები, მეც მათ გვერდით დავდგები! ჩვენ მოვივლით მსოფლიო სტადიონებს და ყველგან გავიმარჯვებთ! ჩვენ გავაოცებთ მსოფლიოს! და რაც მთავარია ...

აპოლონი

რაც მთავარია, საქართველო გაახარე, შვილო!

მამა

ჰო, ნიკა! ჩვენი საქართველო!

დედა (ცრემლმორეული)

პატარა... ჩაგრული საქართველო!

(ყველანი ერთად):

ჩვენი საქართველო!!!

2009წ.